

976

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1976 აპრილი N4

საბავშვო

ღამეანი სიმღერა

გივი შინინაძე

ღიღემ სიმღერა ისწავლავ:

— ჰო, ღიღე,

ღიღე,

ღიღეთ!

მზეო, ამოდი, ამოდი,

ცხრა თვალი გაასიღეთ!

შენა ხარ გასაფხულის და

ბედნიერების შეკვლეო,

ახვარდაგე მინდორი,

კურდღლები აცეკვეო.

უვალი — უვალი,

ჩიტო — ჩიტო

მეგობრად შეუწვიღეთ.

ამოდი მზეო, ამოდი!

ჰო, ღიღე,

ღიღე,

ღიღეთ! —

მზე მართლაც ამოიწვერა,

ხარობს ტყე, მთა და ღეღეო...

და ღიღეც ხარობს ღამესი

სიმღერის მოსახლეო.



ბავაუხულის მზა

გიორგი გიგაური

ფერდობებმა მძიუებდ
 დაიშვენიეს იები,
 ისმის სტვენა-გალობა
 ჭრელი ჩიტუნების.
 აჭანჭანდნენ შაშუები,
 აფართქლდნენ ჩხიკვები,
 ღამაზები, ნაზები,
 ფრთაშაღები, ცქვიტები.
 ვაიღვიძა დათუნამ,
 ათორია წული და
 ვამოვიდა ბურღუნით,
 სოფლებს სვერავს სერიდან.

13035

ენატრება ფიჭები,
 მაგრამ თაფლიანობას
 თოფიანი ბიჭების
 ვშინია ძალიან.
 ახლოს ვერ გავეარბ
 ბაღებს სკებით მოფენილს...
 მზე ბღღურიაღებს თავარბ,
 მხიარულობს სოფელი.
 განაფხულის სიძღვრა
 და ცვარ-ნაშის ციმციმი—
 მთა-გორებზე იღვრება,
 როგორც თქვენი სიცილი.



ქ. მარტოშვილი, საქ. სსრ
 საბავშვო ლიტერატურის
 ცენტრი



ლ. კონი

იმ დღეს ვალოდია გიმნაზიაში ადრე მივიდა. კლასში სმაური იდგა, ბიჭები სმამაღლა ლაპარაკობდნენ, დარბოდნენ, იცინოდნენ. მერსზე მსოფლოდ ერთი ბიჭი იჯდა—წენარად, განმარტოებით.

ვალოდიას ადრე არ ენახა ეს ბიჭი, მაგრამ მაშინვე მიაქცია ყურადღება მის დამწუსრებულ, გაწამებულ სახეს. მერელა მიხვდა, ეს მიტია ანდრეევი იყო, რომელსაც სწორედ გუშინ უჩვენებდა მამა.

მიტია სიბირსკში მამამისს კავკასიიდან ჩამოუყვანია გიმნაზიაში მისაბარებლად, ჩამოყვანით კი ჩამოუყვანია, მაგრამ ნამკსავრი კაცი მოულოდნელად გარდაცვლილა და ბიჭუნა მარტო დარჩენილა შორეულ ნათესავებთან. გუშინ დაუკრძალავთ მამამისი. დღეს კი მიტია ჰირველად მოვიდა გიმნაზიაში.



ვალოდის ძალიან შეეცოდა მიტია, მივიდა და გვერდით მიუჯდა.

— მეც ვიცი შენი დიდი მწუსარება, — უთხრა თანაგრძნობით.

მიტია მწარედ აქვითინდა.

რა შეეძლო ეთქვა ვალოდის? ასეთ მდგომარეობას ცარიელი სიტყვა რას უშეუფლის! ან რითი დასმარებოდა?

— გინდა, ფანქრები გაგიტალო?

მერე უხმოდ იჯდა მიტიას გვერდით და გულმოდგინედ თლიდა მის ფერად ფანქრებს.

ამასობაში მიტია ცოტა დაწუნარდა და ამ ანმაურებულ, უცნობ, მხიარულ ბიჭუნებს შორის თავს აღარ გრძნობდა მარტოდმარტო.

მის გვერდით სომ მეგობარი იჯდა!



იური გაგარინი კაცობრიობის ისტორიაში პირველი გაფრინდა კოსმოსში 1961 წლის 12 აპრილს ხომალდ „ვოსტოკით“.



ნატვრა

კ. გოგიაშვილი

მინდა ნატვრა შემისრულდეს;
ერთხელ ჩამსვან რაკეტაში,
მამიკოსთან, ძმასთან ერთად,
ავიტყორცნო მაღლა, ცაში.
გადავუფრენ ჩემს სამშობლოს,
ჩამოგძახებთ დაბლა მაშინ:
— გამარჯობათ... ზევით მივქერი,
ვარსკვლავების ქვეყანაში.

მორის ფოცხიშვილი ჩავთვ ბაღებს გუზი

ბუზი გალობს „ტია-ტის“
სოფლადა და ქალაქად,
ჭამის შემდეგ სუფრა თეამ
თუკი არ აალაგა.



ჩოლის მღერის ნაკადული
მაშინ მღერის ნაკადული
თუ შენს ბოსტანს შენვე უვლი.

ჩოლის ტყვეებს ხოჭო სახლში
ხოჭო სახლში ტყვეებს მაშინ,
როცა ძირს ჰყრის საჭმელს ბავშვი.



ბუდი ჩოლის სკიკვა მამას

ბული მაშინ სტკივა მამას,
დედის რომ არ ესმის თამარს,
დედის რომ არ ესმის ლელას,
მამა მხოლოდ მაშინ ღელავს.

ჩოლის ტივდება ბებო

ბებო ცივდება ყოველთვის,
როცა გარბიხარ გარეთ,
„კარი დახურე!“ რომ გეტყვის
და შენ არ ხურავ კარებს.

ჩოლის იწყებს ბუდი უჩენას

ბული მაშინ იწყებს ფრენას,
როცა სწავლობ დედაენას!

ნახატები სოფიო კინწურაშვილისა



კუჭი კნუჭი

შუშანა მგელაძე

ერთი კატის კნუჭი
დაიბადა კუჭი.
დედალმა თქვა კაკანით:
— თუ არა გაქვთ აკვანი,
ავერ ჩემი საბუღარი,
თქვენი იყოს საკუთარი.
— საჭიროა ყოველ დილით
ფიზკულტურის გაკვეთილი.
უთხრა კატას ძმობილმა,
ვეფხვმა, ტყეში ცნობილმა.
მოეწონათ ვეფხვის რჩევა
კნუჭის და-ძმა კატუნებს;



გაიყვანეს მინდორზე,
ახტუნეს და ახტუნეს,
დაიჭირეს კალიები,
ერთად შეაკნატუნეს.
კნუტს რომ არგო ფიზკულტურამ,
ყეფით ამცნო სოფელს მურამ.
კუტი კნუტის მშობლები,
წიწილები—ობლები,
ნათესავი კატები,
მეზობელი ბატები,
დედობილი დედალი,
მამობილი მამალი,
გოჭი დედის ერთა—
ზეიმობენ ერთად.

ნახატი ელისო ცაბაძისა



ზყაუბი

საქართველო
საბავშვო ჟურნალი

ტყეში, ბეჭობის ძირას, მკაფიოვებთან და ზღმარტლებთან მქონდა სორო: დრეფანი, დასა-ძინებელი კუთხე და ერთიც საკუტუნაო. სულ ეს იყო მთელი ჩემი ავადიღებდა, მეტრც არ მინდოდა, ოჯახის სამყოფი ჭირნახული იქაც კარგად თავსდებოდა. მართალია, ახლა მარტო ვარ, შვილებმა მიატოვეს აქაურობა და აქეთ-იქით გაიქცნენ, მაგრამ წდეუდს მაინც ბევრი მოვინაგრე. იქნებ ჭკუაზე მოვიდნენ ბიჭები და ისევე დაბრუნდნენ, სახლს ცარიელს ხომ არ დავახვედრებ-მეთქი.

რა არ იყო ჩემს საკუტუნაოში: კაკალი, წაბლი, თხილი თუ წიფელი. ჰოდა, რაკი ზამთრისათვის ყველაფერი მზადა მქონდა, ერთხელ დაარხეინებულ-ი წამოვსკუპუბი სოროს მახლობლად, მყურროზე და გამვეღელ-გამომვეღელს ვადევენები თვალს. თან ვოცნებობდი: ჩემი შვილები რომ ჩამოვიყოდნენ, რომელს რომელ საკნატუნებელს მივართმევდი. უფროსი წაბლისთვის გიჟდებოდა, შუათანაზე ვერ ვიტყოდი, რა უყვარდა, რასაც მოახელებდა, ყველაფერი ბრეს ადენდა. სულ პატარას—კოჭან-დარას კი მარცვეუდი უფრო მოსწონდა. იმი-სათვის ცაღკე, კუთხეში მქონდა შენახული ხორბ-ლის ხვარხვარი მარცველები. დედა ენაცვადლს, ძმებმა წააქეზეს, თორემ აქედან ფეხსაც არ მოი-ცვიდა. სხვები თუ არა, მე მგონი, ის მაინც მოვა, ძალიან უყვარდა აქაურობა. ამ ტყესა და მინდორს როგორ დავიწყებ. ამ ფიქრში ვიყა-ვი, რომ უტბად რალაცნაირი ხმაური მომესმა. ეს ხმაური არა ჰგავდა ჩვენი ტყის ბინადრების ფეხის ხმას, ნაცნობ ფაჩუნსა და დაწაღუწს. ქვე-მოთ გავიხედე და გზაზე ორი კაცი დავინახე. ძალიან შემეშინდა. გულმა სულ ბავაბუგი და-მიწყო. ფხაკა-გლეჯით გავიქეცი, ბურთში შევძ-ვერი და გავიღურსე. სოროში ველარ მოვახერხე შესვლა. ვიჯექი და ბურთდან ვუთვადთვადებდი კაცებს, ერთი როდის წავიგენ, რომ თავისუფლად ვინაგარდო-მეთქი. მაგრამ რის წასვდა, რა წასე-და, დადგნენ და მასდაათი გააბეს. ხმამალდა და-პარაკობდნენ, თან თითს იშვერდნენ, რალაცას



ასწავლიდნენ ერთმანეთს. არ გასულა დიდი დრო და ახლა სხვანაირი ხმა მომესმა: ტრახ, ტრახ, ტრახ... ჯერ შორიდან მოდიოდა ხმა, მერე თან-დათან მოახლოვდა, მოახლოვდა და იმ კაცებთან ვებებრთელა მანქანა შეჩერდა.

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს კაცებმა, მერე მან-ქანა პირდაპირ ბეჭობისაკენ წამოვიდა. დაეტაკა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კუთხე მოაგრიჯა



ნახე, რამოდენა რამე მოუზიდა! — უფროსნი ვერტმა
კაცმა ამხანავს.

ისიც ახლს მივიდა და დანგრეულ სოროს და-
ხედა.

— უყურე, ერთი, რა გამრჯე ვინმე ყოფიდა,
აუფსია დღვდათით სახლ-კარი! — ამბობდა მეორე
კაცი და თან იციროდა.

სალამოდე არახრახეს რკინის მანქანა, არახ-
რახეს და წავიდნენ. იმათ სასაცილოდ არ ეყოთ
ჩემი გაჭირვება, მე კი გული მეთუთქება. და-
მაქციეს და დამანელეს. რალა ბეჭობს დაუმიზნეს
ის ოხერი მანქანა! რა უნდოდათ ჩემგან, რას ვუ-
შავებდი? მე შენ გეტყვი, ზოგიერთი მაწანწალა
თაგვივით სოფელ-სოფელ ბელემაში დაეჭვებები
და სხვისა მონაგრებულს ვაჩანავებ, ნაყანებში
ჩარჩენილ ორიოდე თავთავს თუ მოვიტან ჩემი
პატარა წრწუნასთვის, თორემ ერთი მითხარით,
ვისი რა მინდა, ჩვენს ტყეში ძირნაყარი თხილი
და წიფელი ცოტაა! აკი მქონდა კიდეც ყველაფე-
რი, ახლა რა მეშველება, მგონი წვიმას აპირებს,
მოვა და ჩემს ნაწვავს-ნადაგს წყალი და ღვარი
წაიღებს.

ისინი კი იციონდნენ, აბა, რომელიმე თავგ-
მა ერთ ბიწინი ხორბლის მარცვადი მოიპაროს
მაგათ ბელდიდან თუ წაასწრეს ხომ მაშინვე
სულს გააფრთხოზობინებენ. მე კი ამოდენა რაგინ-
დარა დამილუპეს და ვითომც არაფერი... — შეს-
ჩიოდა თავის გასაპირს ერთი ნაცარა თავუნა
მეზობელ თავგს და ეხვეწებოდა:

„მიშველე, აგრემც შვილები შეგჩება, შენს
სოროში გადამატანიხე ჭირნახული ცოტა ხნით
მინიც, სანამ ახალ სოროს გავიყვანო“.

თან წარამარა ცას ახედავდა ხოლმე. ცაზე კი
ვეებურთელა შავი ღრუბლები ვეშაპებოვიით მო-
ცურავდნენ. ვიდრე მეორე მხრიდან წამოსულ ღრუბ-
ლებს შეუერთებოდნენ და წვიმას დაუსვებდა,
უნდა მოესწროთ ჭირნახულის გადაზიდვა. მაგრამ
მარტო ისინი რას გააწყობდნენ, არც ისე ახ-
ლს იყო მეზობელი თავგის სორო.

ნეტავი სხვა მეზობლებამდეც მიეწვიინა ხმა
საცოდავ თავუნას, მივიღოდნენ, აუტცილებდად
მივიღოდნენ და ისინიც მიეხმარებოდნენ ჭირნა-
ხულის გადაზიდვაში. აბა, ამაზე უარს ვინ ეტ-
ყოდა.

და ბილიკზე გადმოშალა.

კიდეც დაეტაკა ბეჭობს ის მანქანა: ერთხედი,
ორჯერ, სამჯერ და, მიწას სოროც არ გადმოა-
ყოდა! დამინგრის ჩემი მოკოწიწებული სახლ-
კარი, მეგრე ზამთრისთვის როგორ მქონდა მოთ-
ბუნებული. ახლა კი ყველაფერი მალდა ყრია,
ზოგიც მიწაშია არეული.

— ბიჭო, აქ თავგსა ჰქონია სორო, მოდი,



გყის მკვარი

გიორგი ჩხეიძის

ტყეში ჩუხჩუხა წუაროსთან,
 დიდი ბურძხუის ახლოს,
 ერთი თეთრწვერა მტკევე —
 ჰაზა ბერიკა სახლობს.
 ჯიბე საჯსე აქვს წაბლით,
 წიწიბოთი და თხილით,
 ქოსი კი —
 თეთრი თაფლით
 და არაკებით ტკბილით.
 ზის მთვარის შუქზე ქოსის წინ —
 ჩუმი და მეოცნებე,
 დაბურული ტეის — კეთილი
 მუხატრონე და მეფე.
 გათენდება და მთელი დღე
 ტყეში დიდინით დადის,
 ვაი მას, ვინც აქ გაივლის
 ნაჯანითა და წაღლით!

ნაბატი თამაზ ხუციშვილისა



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორანი

ნოღარ კეკელიძე

— ლუკას გაუმარჯოს!—ღიმილით მისვალ-
მა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქალარა
მებორნეს.

— იცოცხლე, ჯაბა ბატონო!

— ვალმა ხომ გამიყვან?

— მეტი რა საქმე მაქვს, დაბრძანდი, აგერ
ბაღღებცი მოიჩქარიან და ბარემ ერთად გავ-
წევთ!..

— მგონი წელის ტკივილი გაწუხებს, მაგ-
რამ ნუ გეფიქრება, მალე ამ მდინარეზე ხიდს
გაედებთ და დაისვენებ, ჩემო ლუკა!

— შენ ვერე გგონია? აბა, ახლა ჩემს გულ-
ში ჩაიხედე! წელის ტკივილს რას დავეძებ,
უსაქმოდ რა გამაძლენინებს.

— ჰო, ეგ კი მართალია, ძველ მეზღვაურს
გაგიჟირდება უწყლოდ ყოფნა.

— ეგრეა და რა ვქნა,—აიჩინა ფართე
მხრები ლუკამ და მხროლოავი ჩიბუხი პირში
გაირჭო. მერე მოახლოებულ გოგო-ბიჭებს
გაპხედა და გასძახა:

— იჩქარეთ, იჩქარეთ, თორემ საცაა სკო-
ლის ზარს ჩამორეკავენ!

ბავშვებიც თვალის დახამხამებაში ბორანზე
აკვიდნენ და ძელსკამზე მიიყუენენ. ბოლოს
ცხენიანი ორთვალაც შემორახნახდა.

— აბა, დავიძრაო!—ომახიანად ჩაილაპარა-
კა ჯალამბართან მდგარმა ძია ლუკამ. მერე
გემის კაპიტანივით პირქუშად გაპხედა გასასვ-
ლელ მანძილს და მგზავრებით დატვირთუ-
ლი ბორანი ვალმა ნაპირისაკენ დაიძრა. დრო-
დადრო ჯალამბარის ტრიალში ლუკას ბავშ-
ვები ენაცვლებოდნენ. მებორნე კმაყოფილი
აბოლგბდა ჩიბუხს:—ნამდვილი მეზღვაურები
იზრდებიან, ჯაბა ბატონო, ნამდვილი!

ასეა მულამდღე, დილიდან დაღამებამდე,
ვადის და გამოვადის ლუკა ძიას ბორანი. ვაპ-
ყავს და გამოპყავს ვალმელები და გამოლმე-
ლები. ძია ლუკაა ორივე სოფლის ვაჭირვე-
ბის ტალკვესი. ზამთარია თუ გაზაფხული
ბორანი მულამ მზადა აქვს.

კ. მ. ...
სახელს ...
ბრუნდებიან



მხოლოდ გაზაფხულის პირას „ეკვრება“
 ლუკას ხელ-ფეხი, მთებში თოვლი რომ იწ-
 ყებს დნობას და ადიდებული მდინარე ბა-
 რისაკენ თავქუდმოვლევჯილი მოიჩქარის.
 ფრთხილობს მოხუცი, რა იცი, სად უმტყუ-
 ნებს ბორანი; ერთიც ვნახოთ და, გვარლი
 გაწყდეს ან სამაგრებიდან ამოვარდეს, მერე?

ერთ დღეს, სწორედ გაზაფხულის პირას,
 როცა ლუკა ძიას მდინარეზე ბორნით გასე-
 ლა კი არა, იქით გადახედვაც არ უნდოდა,
 ძის ეზოს ჭიშკარს გულგახეთქილი მეზობ-
 ლის ბიჭი, მამუკა მოადგა:

— ძია ლუკა!

მოხუცი უხალისოდ შეეგება სტუმარს,
 იცოდა რისთვისაც მოვიდოდა მამუკა.

— რაშია საქმე, შვილო, რა მოხდა?

— ძია, ლუკა, ნუგზარმა ფეხი გაიჭრა წალ-
 დით, სისხლი ვერა და ვერ შევეუჩერეთ... გალ-
 მა ექიმთან თუ არ ვაეიყვანეთ, რალაცა დაე-
 მართება, თანაც მთელი სოფელი მინდორშია
 გასული, სახლში ჩვენდა ვართ, ბიჭები!

— ჰმ,—თავი გადააქნია მოხუცმა,—ანცები

ხართ, ანცები!—წვერზე ჩამოისეა ხელი, მერე
 აღრენილ მდინარეს გაჰხედა და მართლაც, რომ ვერა ყოფილა
 მე!—ხელი მტკივნეულ წეღზე მიიღო და
 დასძინა:—მეტი რა გზაა, უნდა ვცადოთ ბედი.

— ნურაფრისა გეფიქრება, ძია ლუკა, ჩვენც
 მოვდივართ, მე, დათო, გოგლა, ბესიკი, ყვე-
 ლანი!

— კარგი, კარგი!—ხელი ჩაიქნია ლუკამ,—
 წავიდეთ!

ბავშვებმა ავადმყოფი ციმციმ დაწვინეს
 ბორანზე და დაიძრნენ. მდინარე ძალუმაღ
 ეხეთქებოდა ბორანს და ნაფოტივით ათამა-
 შებდა. გვარლი ხან გაწყვეტამდე გაიჭიმებო-
 და, ხან კი, ისე მოეშვებოდა, თითქოს ეს-ეს
 არის ბორანი მოსწყდება და აბობოქრებულ
 მდინარეს ბრმად გაჰყვებოდა.

ლუკა აულეღვებლად ატრიალებდა ჯალამ-
 ბარს და გაღმა ნაპირს იმედით გასცქეროდა.

ის იყო მდინარის ნახევარი განვლეს, რომ
 უეცრად ბორანი ატორტმანდა, შეზანზარდა,
 მერე ჯალამბარი ბზრიალასავით დატრიალ-





და და ბორანმა მიმართულვება დაჰკარგა. ლუკა გახევდა, გაშრა, ჯალამბარს ხელი შეუშვა და ბავშვებისავენ გაიწია:

— მაგრად დადექით, შვილებო, არ შეშინდეთ, ყველაფერი რიგზე იქნება!

თავაწყვეტილი ბორანი მდინარის ნებას აპყლოდა და ქვემოთ მიექანებოდა.

გაღმა ჩოჩქოლი . შეიქნა, აყვირდნენ, ხელეხ იქნედნენ, გარბოდ-გამორბოდნენ.

ბავშვები ხმაგაკმენდილები შეგპყურებდნენ ლუკა ძიას, წუთით დაბნეულმა მოხუცმა ჰაპანი აიღო, ჰაპანის ერთი ბოლო ბორანს საიმედოდ გამოაბა, დანარჩენი ხელზე დაიხვია და გახდა დაიწყო.

— ძია, ლუკა,— მიუხედა მამუკა მოხუცს,— მე გავიტან ჰაპანს, შენ ხომ წელი გტკივა?!

— მაცადეთ, რა დროს წელის ტკივილია!

— ძია, ლუკა, გთხოვ, კარგი ცურვა ვიცი, აი ნახავ!

ლუკამ ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა, გაუღიმა და უთხრა:— მერე და, ასეთ წყალში, აბა, გახედე როგორ მოდის!

— მერე რაა, უარესში მიცურავნია!

— მიეცი, ძია ლუკა,— მამუკა ყველაზე კარგად ცურავს, მიეცი!— აყაყანდნენ ბავშვები. პასუხისათვის არც დაუცდია, მამუკამ ჰაპანს ბოლოში ხელი ჩაავლო და წყალში გადაეშვა.

— ფრთხილად, შვილო, ფრთხილად!— გააცოლა ხმა მოხუცმა,— გახვალ თუ არა, ჰაპანი პალოს გამოაბი!

მამუკა მკლავურით მიაპობდა მღვრიე, მრუმე წყალს, თან ჰაპანს მიათრევდა. ღონივრად იქნევდა ხელებს, ძალს წყალი იყო და ძალს— ბიჭი. დაიღალა, ჰაპანიც დამძიმდა, მაინც წინ მიიწვედა. თან იმედით გაპყურებდა გაღმა მოფუსფუსე ხალხს. ვილაცხებმა ტანთ გაიძვრეს და მდინარეში გადმოეშვნენ. მერე აღარაფერი ახსოვს. თვალი რომ გაახილა, თავს ვილა არ აღგა. მაინც პირველად ძია ლუკა შენიშნა. მოხუცი სახეზე ხელს უსვამდა და იღიმებოდა.

— ხომ ვთქვი, შენგან კარგი მეზღვაური დადგება— მეთქი!..



ნახატები ვახტანგ გულისაფვილისა

მერი გოლქვაძე



ვზოში დიდი ბომბორა ძაღლი წევს, თავი თათებზე დაუდევს და თვლემს; ხანდახან თვალს გაახელს, რამე უწესრიგობა არ მოხდეს ვზოში და არ გამოიმეპაროს. ამ ძაღლმა ისიც იცის, როდის უნდა წამოხტეს, ისიც — როდის დაწვეს, როდის — დაიღრინოს, როდის — დაიყუფოს... ეს ავირა — პატარა ბიჭებმა დაარქვეს ასე... ვზოში პატარა მოციქნილი ძაღლი — ქუქუც დადის, დადის კი არა, დაცუნცულვებს. ნეტა რა დაარბენინებს ამდენს? ერთი წუთი არ ჩერდება; პატარა ყურები სულ ზევით აქვს ატკვეტილი, საჭიროა თუ არა, იყვფება. თვითონ ხომ არ ისვენებს და არა, ავჩოსაც არ ასვენებს; ივლის, ივლის, იბერბეტებს, მერე თავზე დაადგება მთვლემარეს და...

- ავ-ავ, ავ-ავ! ადფ, ადფ, ადფ!
- რა გინდა, რა? — ასწევს თავს ავირა.
- გზაზე კაცები შიღიან... — ატკმუტავს ქუქუ.

— მერე?

— რა, მერე?! მიდიან...

— იარონ, რას გიშლიან, დაუკითხავად ვზოში ხომ არ შემოდიან!

ნირწამხდარი ქუქუ ჯერ თვალებს დაბნეულად ამაქუნებს, მერე ისევ მირბის, — თვითონ უყვფვს იმ უცხო-უცხო კაცებს და... შემინებული უკანევი მირბის:

— ავ-ავ, ავ-ავ! ადფ, ადფ, ადფ! — ისევ დასძახის ავირს.

— რა იყო, რა? — უკმაყოფილოდ იშმუშუნება ქუქუს ყვეფით გაბნეობილი ავირა, — რა დღეშია, ეს წიკიპურტა, ესა?!

— გზაზე მანქანები დარბიან, სულ ნაირ-ნაირები, წამოდი, დავუყვფოთ, რა?! — ეხვეწება ავირს, ის კი ყურსაც არ იბერტყავს.

— აბა, რა უნდა ქნან?! ეგენი ყველანი თავის საქმეზე დარბიან, ჩვენ რა გვეკითხება?!

ქუქუ იბუტება, დაბაბი ნიკაბქვეშ ბურთივით გამოვებრა:



— მაშ რას დაუყვეფო, რას? — კინლაძე
ცრემლები გადმოჰყარა.

აწროს გული გაუწყალდა და ერთი მაგრად
დაუღრინა:

— აუცილებელი კი არის სულ იყვეფო.
რომ არ გვახვეწებ, აი, დასაყფი შენა ხარ
ახლა, დადგე და შენს თავს დაუყვეფ!

ჟუჟუს შეეშინდა, აწრომ რომ დაუღრინა,
თავი ჩაქინდრა, მოიბუხა.

— ჰი-ჰიუ, ჰიუ-ჰიუ, ჰი-იიი! — აუტყდათ
სიცილი ინდაურებს...

— ვიხ-ვიხ, ვიხ-ვიხ! — ავახვანდნენ იხვები.

— მია-მია, მია-მია! — აიენის მოაჯირზე სი-
ცილით გადაწვა კატა.

ჟუჟუმ — ვის დასცინითო და, ჯერ ინდაუ-
რებს ეცა გამწარებული, მერე იხვებს დაფ-
რია; მაგრამ თუნდა მოკვდი ყფვით, ზედ ვინ
გიყურებს?!

— ჟუჟუ, ჟუჟუ! — უცბად ნიაფი მიუჯდა
ყურთან, ბაღის კარი ტახმა დინგით შეამტე-
რია და შიგ შებრძანდა!

— ტახი? ვაი, დედა!

— ძალიან დიდი გული რომ გქონდა, მი-
დი, აბა! — წაუსისინა ნიაფმა.

— ვაიმე, რა ეშველება ჟუჟუს?!

ამ დროს აწრო წამოდგა, იმასაც ნიაფმა მიუ-
ტანა ალბათ ამბავი; ტახი ბაღაშიაო.

— ავ-ავ, ავ-ავ! — დაიძრა აწრო ბაღისაკენ.
ჟუჟუს გული მოეცა, აწროს ზურგს საიმედოდ
ამოფეხარა და ყფვით აეკუნკულა.

დინახა ტახმა აწრო და შეშინებული მარ-
ტო ბაღიდან კი არა, ეზოდანაც სულ ცუხ-
ცუხით გავარდა... საქმეს რომ მორჩა, აწრო
ისევ თავის ადგილას დაწვა. ჟუჟუ, ჩვეულებ-
რივ, ეზოში მოჰყვა ცუნცულს; თანაც ახლა
სატრახხოც რომ გაუჩნდა?!

— მე და აწრომ ტახი გავაგდეთ, ტახი! —
იჯგიმება ტიკივით.

— ჰი-ჰი, მე და აწრომო? — გულიანად კუჭ-
კუჭობენ აქვთ გოგო-ბიჭები, იქით იხვები;
ქათმები, ინდაურები; კულაბზიკა კატა ხომ
სიცილით პრუწავს თვალებს:

— კიდევ კარგი სულ არ დაიჩემა, მარტო
მე გავაგდეთ; მიაუ, მიაუ!



ნახატები გენო ხილაშვილისა



კაკა
 თინათინ კვირიკაძე
 შვილიშვილებთან თამაში
 კაპას ართობს და ახარებს.
 ერთ მხარზე ნინო უზის და
 მეორე მხარზე—მხარე.



იური ნარიშანიძე

სულელი თხა


ი გ ა ვ ი

ერთმა სულელმა თხამ ყველას თავი მოაბეზრა: მეე—წვერები მაქვსო, მეე—რქები მაქვსო, მეე კისერზე ეფვანი მკიდიოო. ვერავინ ვერ გამოინახა მისი შესაფერი. ხარი რქიანი იყო და წვერი არ ჰქონდა, ცხენს ეფვანი ეკიდა, მაგრამ სამაგიეროდ არც რქა ჰქონდა და არც წვერი. გაამაყდა თხა. გამოვიდა სოფლის გარეთ და დაიწყო ხმამალა პეტელი: მეე—წვერი მაქვსო, მეე—კისერზე ეფვანი მკიდიოო.

ხიდან კოღალამ გადმოსძახა: — ყველაფერი გაქვს, მაგრამ აი, ჩემსავით შრომა კი არ გიყვარს, ზარმაცი ხარო.

კოღალამ იფიქრა, თხა დანაღვლიანდება და შინ წავაო, მაგრამ ნურას უკაცრავად...

— მეეო,—ახლა უფრო მხიარულად და ამაყად შემოსძახა თხამ,—ზარმაციც ვარო!



**ქალე გობოხიძე
 მერცხალი**

გაზაფხულით მეც ვხარობ,
 მზეა ცხოველმყოფელი.
 მოფრენილმა მერცხალმა
 გაახარა სოფელი!

ზღარბი

მოდის ნაბადწამოხხმული,
 რუხი თქვა აცვია;
 ვნახე ახლო მოსული,
 ცარიელი ქაცვია.

ნუ დააფრთხოვთ, ბავშვებო,
 ჩვენი ეზო ვრცელა!
 გაიხაროს, იაროს,
 ის ზომ ბოსტნის მცველია!



ატბი გიორგი როინიშვილისა

სამოსანა

ყვავილი რომ გაიფურჩქნა
მთად და შინდორ-ველადა,
მოსაკრეფად გაეშურნენ
მზექალა და ლელა.
კრიფენ, კრიფენ, ბევრი კრიფენ,
მოიჯერეს გული
და შეკონეს ჩამდენიმე
კობტა თაიგული.
თითო-თითო დედან უძღვნეს,
თითო-თითო—ბებოს,
მეგობრებსაც დაურჩენს—
მართას, შავდას, თებრას.
ბოლო ორი თაიგული
დაიტოვეს თვითონ.
სულ ჩამდენი შეუკონავთ,
ვგრ დავითვლი ვითომ?!

შოთა ამირანაშვილი

გამოსანა

მიძტორ ლეჟავა

არც ხელი აქვს, არც ფეხი აქვს
თუ მიხვდებით სახელს;
შაურიანს თუ არ მისცემ,
წინ დაგიგებს მახეს.




თავსავსები

შეაგებით ცარიელი უჯრედები საქართველოს მდინარეების სახელწოდებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოს საქართველოს ძველი დედაქალაქის სახელი.

შეადგინა მცხეთის სკოლის მოსწავლემ
მაია არქიელიძემ

შეადგინა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯუ-
რუყეთის სკოლის მოსწავლემ ნანა ანთაძემ.

ჩეჩუსი



67/63

საქართველო
ბიბლიოთეკა

76055

საგაზაფხულო

ტარიელ ხავთასი

ენძელავ, ია-იაო,
 აპრილის თბილო ნიავო,
 ჭიკჭიკ-ჭიკჭიკით მოსულო
 გულთეთრა ჩიტუნიაო.
 გაღვიძებულო ბუნებავ,
 ჩანჩქერო ბროლისხმიანო,
 ნარინჯ-თურინჯის ბაღებო,
 პურის თავთავო ცვრიანო,
 ჭირიმე, შენი ჭირიმე,
 სიმინდო ოქროსთმიანო,
 ვაზის აკვანში გაზრდილო
 მგზერევე, შე ხელმადლიანო,
 თქვენით ვხარობ და ვსულდგმულობ,
 თქვენი ძმობილი მჭეიანო.



ნახატი გივი უშულავასი

მოთავი რედაქტორი მწიგნან მახარაძე

სარედაქციო კოლეჯია: ანდრე პეტრუშვილი, ელზაბეტ აფთიაგაძე, ანდრე გომეზიანი, ლეილა მარამ, მარგალიტა მარამიანი, ჯიჟიკა მარამიანი, გიორგი კონიანი (სახ. რედაქტორი), ირაკლი მამარბალიძე (პ.მ. მდიანი) რომანოვი ლარსაშვილი, გივი მახარაძე

საქ. რედაქციის და გ. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფუნქციონირება უდავო ნაბატი ომბრ ჩუბინიძისა

გამოცემის 40-ე წელი

რედაქტორი ანდრე მარამიანი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ.: მო. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პ.მ. მდიანის—93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის—83-98-18; ტანკოვ.—93-98-19; სამდიანის—93-98-16.

ვალუტა: ასაწილად 2011-76 ლ., ხელმოწერისათვის დასაბეჭდავად 16/111-76 ლ., ქალაქის ზომა 80x100 მმ, ფონ. ნაბ. ფურც. 2მ, ტირაჟი 157.250 ლ., № 0240. „მუსა“ № 4. ია გრუზინკომ ლინგვა. ლინგვა 20 კაბ.

საქ. კვ. ცვ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии